

GipsGrund

ინტერიერის მფარავი გრუნტი, თაბაშირის შემცველი ფითხების და მინერალური ზედაპირების დამუშავებისთვის.



პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

სამღებრო გორგოლაჭით დასატანი, მოხმარებისთვის მზა, თეთრი პიგმენტის შემცველი სპეციალური საგრუნტავი - ინტერიერის მინერალური ზედაპირების დამუშავებისთვის. საუკეთესოდ გამოდგება ინტერიერის თაბაშირის ფითხების ზედაპირებისთვის.

თვისებები

- მოხმარებისთვის მზა, არ საჭიროებს წყლით გაზავებას
- ამყარებს ზედაპირს
- იცავს ფერის არათანაბარი განაწილებისგან / აჭრელებისგან
- ამცირებს საღებავის ხარჯს
- წყალდისპერსიული, ეკოლოგიურად სუფთა
- მინიმალური ემისიით და გამხსნელების გარეშე
- სუსტი არომატის მქონე
- დიფუზიის უნარის მქონე
- მაღალი ადჰეზიურობის მქონე

მასალის შემკვრელი

სინთეტიკური დისპერსია DIN 55945-ის შესაბამისად.

შეფუთვა

სტანდარტული შეფუთვა: 5 ლ, 10 ლ, 12,5 ლ.

ფერი

თეთრი

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ ადგილას, მოარიდეთ ყინვას.

ტექნიკური პარამეტრები

სიმკვრივე: დაახლ. 1,5 გ/სმ³

გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია № 606 -ის მიხედვით.

ინტერიერი 1	ინტერიერი 2	ინტერიერი 3	ექსტერიერი 1	ექსტერიერი 2
+	-	-	-	-
(-) არ არის შესაფერისი / (○) შეზღუდულად შესაფერისი / (+) შესაფერისი				

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

ინტერიერის მინერალური ზედაპირები და თაბაშირის შემცველი ინტერიერის ფითხები.

ზედაპირის მომზადება

ზედაპირი უნდა იყოს სუფთა, თავისუფალი მტკრის ნაწილაკებისგან, მშრალი და არ შეიცავდეს ადჰეზიისადმი ხელის შემშლელ ნივთიერებებს.



დატანის მეთოდები	პროდუქტი გამოყენებამდე კარგად ამოურიეთ და დაიტანეთ გაუზავებლად.
ხარჯი	დაახლ. 100-160 მლ/მ2, დამოკიდებულია ზედაპირის სტრუქტურაზე. ზუსტი ხარჯი განისაზღვრება სასინჯი დატანით.
გამოყენების პირობები	მინიმალური ტემპერატურა გამოყენებისა და შრობის პროცესში: ჰაერის მინიმალური ტემპერატურა უნდა იყოს +5 C და მაქსიმალური +30 C.
შრობის დრო	20° C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი მშრალია 2 საათის შემდეგ. 5 საათის შემდეგ შეიძლება საღებავის დატანა. დაბალი ტემპერატურის და ჰაერის მაღალი ტენიანობის შემთხვევაში - შრობის დრო იზრდება.
ხელსაწყოები	სამღებრო გორგოლაჭი ან ფუნჯი.
ხელსაწყოების წმენდა	გამოყენების შემდეგ ხელსაწყოები გაირეცხოს წყლით.

მითითებები

უსაფრთხოების ნორმები	მორიდეთ ბავშვებს! მუშაობის პროცესში იზრუნეთ სამუშაო სივრცის საფუძვლიან განიავებაზე. არ ქამოთ, არ დალიოთ და არ მოწიოთ ამ პროდუქტით მუშაობისას. თვალში ან კანზე მოხვედრისას დაუყოვნებლივ მოიბანეთ წყლით. კანზე მოხვედრისას დაუყოვნებლივ და გულდასმით დაიბანეთ წყლით და საპნით. არ დაუშვათ საღებავის მოხვედრა კანალიზაციაში, წყალსატევებსა და ნიადაგში. ხელსაწყოები დაუყოვნებლივ გარეცხეთ წყლით და საპნით. არ ჩაისუნთქოთ წარმოქმნილი "ღრუბელი". დაიცავით გარშემო არსებული ზედაპირები (განსაკუთრებით მინა, კერამიკა, ლაქი, კლინკერის აგური, ბუნებრივი ქვა, მეტალი და ხე) შეფეხვისგან.
უტილიზაცია	მეორადი გადამუშავებისთვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებელია უტილიზირებულ იქნას როგორც ლაქის ან საღებავის დანაკარგი, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.
აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად (VOC)	პროდუქტის კატეგორია (Kat. A/a): 30 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 1 გ/ლ აქროლადი ორგანულ ნივთიერებებს (VOC).
შემადგენლობა	აკრილის თანაპოლიმერების დისპერსია, ტიტანის დიოქსიდი, სილიკატები, კალციუმის კორბონატი, წყალი, მიზნობრივი ადიტივები, კონსერვანტები.
შენახვის ვადა	ორიგინალ, თავდახურულ შეფუთვაში პროდუქტი ვარგისია 24 თვის განმავლობაში.
ტექნიკური კონსულტაცია	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შექმნა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. შპს კაპაროლ ჯორჯია აღ. ქართველიშვილის ქ. N8, 0198 თბილისი საქართველო. office@caparol.ge www.caparol.ge